

წა გრიგოლ ნეოკესარიელი

სარჩევათვის წმიდისა ღმრთისმშობელის\*



ღეს ანგელოზთა განწყობილებითა  
გალობანი ბრწყინვალე იქმნებან და  
ნათელი იგი ქრისტის მოსულისა და  
მოწმუნეთა გამოუბრწყინდების.

ღლეს მხიარული იგი არც ჩუენი ქრისტი,  
სიმართლისა იგი მშტ, ბრწყინვალითა ნათლითა  
გამოგვპრწყინდა ჩუენ და მოწმუნეთა გონებანი  
განანათლნა.

ღლეს ადამ განახლდების და იხარებს, ანგე-  
ლოზთა თანა ზეცად აღფრინდების, ამისთვის რა-  
მეთუ სულისა წმიდისა მოსლვად იქმნა.

ღლეს ღმრთოებისა მაღლი, უხილავთა სასოდ,  
განანათლებს გონებითა უფროვსლა მათ დიდე-  
ბათა, რამეთუ საუკუნითგან დაფარული იგი  
საიდუმლომ განცხადებულად გუაუწყა ჩუენ.

ღლეს სათნოებისა გამოუთქმელისა გურგუნი  
იქმნებიან ღირსთა და მორჩილთა დღესასწაუ-  
ლის მოუკარეთავ: პნებავს ღმერთსა გურგუნისან  
ყოფად ტრფიალთა მათ უქცეველისა სარწმუ-  
ნოებისათავ, ვითარცა ჩინებულთა და მკუდრთა  
მოუწოდა, და ზეცათა სასუფეველი მწრაფლ  
მოუწეს ზეცისა მობაძავთა შეერთებად ღმრთის  
მსახურებისა ანგელოზთა კრებულსა.

ღლეს ღმრთისა მიერი იგი აღესრულების თქ-  
უმული, რომელსა იტყვს: «იხარებდით ცანი და  
იშუებდინ ქუყანა. ჭთანი იხარებენ პირისაგან  
უფლისა, რამეთუ მოგალს. Խა იხარებდნე ყოველნი  
ძელნი მაღნარისანი პირისაგან უფლისა, რამეთუ  
მოვალს» (ფს. 95,11-13), და დავით სამე ძელად  
იტყვს, ხოლო უფლისა წინამორბედმან ხედ ნაყ-  
ოფის გამომღებელად ღირსად მოსლვისათვის  
უფლისა უწოდა. ხოლო უფალმან ჩუენმან იესუ  
სიხარული იგი გამოუთქმელი ყოველთა მისა  
მიმართ მოწმუნეთა აღუთქუა, რამეთუ პრქუა:  
«ვიხილნე თქუენ და გიხაროდის და სიხარული  
თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან» (ინ. 16,22).

ღლეს ყოველთა სასმენელი იგი და გამოუთქუ-  
მელი საიდუმლომ, რომელთა სასოებად ქრისტის  
მიმართ გუაქუს ღირსად აღბეჭდულთა ქრისტია-  
ნეთა, განცხადებულად მოგუეთხრობის ჩუენ.

ღლეს გაბრიელ, ღმრთისა წინაშე მდგომელი,  
ქალწულისა წმიდისა მოვიდა და ესრტო ახარა  
მას: «გიხაროდენ, მიმაღლებულო!» ხოლო იგი  
განიზრახვიდა: «ვითარ-მე იყოს მოკითხვად ესე?»  
ხოლო ანგელოზმან მან მეყსეულად მიაგება და  
პრქუა: «უფალი შენ თანა! ნუ გეშინინ, მართამ,  
რამეთუ პპოვე მაღლი ღმრთისაგან. ცმისთვის მუ-  
ცლად-იღო და შვე ძტ და უწოდო სახელი მისი  
იესუ. სუ იყოს დიდ და ძე მაღლის ქწოდოს, და  
მოსცეს მას უფალმან საყდარი დავითის, მამი-  
სა თვისისა და მეუფებდეს სახლსა ზედა ის-  
რაელისასა უკუნისამდე და სუფევისა მისისა და  
არა იყოს დასახრულ.

სრქუა მართამ ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს  
ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი? (ლუკ.  
1,30-34) და-ღა-მე-ვაღვრეა მერმე ქალწულად,  
ანუ მიმეორე ქალწულებისა იგი პატივი?

ცმას რაღ განიზრახვიდა წმიდად ქალწული,  
მეყსეულად მთავარანგელოზმან მან შეწირა მისა  
სიტყვსა მის კუალად-გებად და პრქუა: «სული  
წმიდად მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისად  
გფარვიდეს შენ. ცმისთვისცა შობილსა მას წმი-  
დასა სახელი ქწოდოს ძე ღმრთის» (ლუკ. 1,35).

ქამეთუ რომელი-იგი არს, გარნაღა ქწოდოს.  
ზემსგავსებულად წმიდად მართამ ყოველთაგან ნა-  
თესავთა მხოლომ მაღლმან მან გამოირჩია, რა-  
მეთუ ჰეშმარიტად ყოვლითავე ბძენი იყო.

ცრავინ მსგავს მისა ყოველთაგან ნათესავთა  
სადამე იპოვა. ცრა ვითარ პირველი იგი ქალწუ-  
ლი ეს მარტომ სამოთხესა შინა იქცეოდა, უსუ-  
სური გონებითა, და განუზრახველად ბოროტ  
მთავრისად მის გულის-სიტყუად იგი შეიწყნარა  
და ესრტი გულისა მისისა ზრახვად გან ჭრწნა და  
მის მიერ მზაკუვარმან მან გესლი იგი თვისი დას-  
თხია და სიკუდილი განზავა და ყოველსა სოფელ-  
სა მოაწია, ამისთვისცა ყოველი შრომად წმიდათა  
შეამთხვა, — არამედ მხოლომსაგან წმიდისა ქა-  
ლწულისა მისი იგი შეცოდებად განიკურნების და  
არა პირველად წმიდამან მან ნიჭი იგი დაითმინა  
შეწყნარებად, ვიდრემდე ისწავა მოძღუნებული

\* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. ცკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 3-7.

და რაც არს ნიჭი იგი, და ვინ არს მომღებელი. ცმას თავით თუსით განიზრახვიდა წმიდავ იგი ქალწული და ოცა თუ ანგელოზსა მას ეტყოდა: «ვინავ ესრე სახედ კურთხევად ესე მოგუაროუ ჩუენ? რომელთა საუჯეოთაგან მარგალიტი ესე სიტყუავ ჩუენდა მოვლინა? ვინავ აქეს ჩუენდა მომართ ნიჭსა მაგას დასაბამი? ზეცით მოსრულ ხარ და კაცისა ხატად აჩუენებ და სანთელ ნათლის ელგარე ხარ». ცმას თავით თუსით განიზრახვიდა წმიდავ იგი. ქოლო ესევითარითა სიტყუთა მთავარანგელოზმან ორგულებავ იგი დაკვისნა და პრეზა: «სული წმიდავ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისად გფარვიდეს შენ. ცმისთვის შობილსა შენსა წმიდავ ეწოდოს, ძე ღმრთის» (ლუკ. 1,35).

«ჩუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ არა საშინელებით მოვედ შეძრწუნებად შენდა, არამედ რამთა განსდევნო შიშისა იგი მიზეზი.

ჩუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მაღლი წინაშე ღმრთისა. ძადლისა მას ნუ განიკითხავ ბუნებით, რამეთუ შჯულთა ბუნებისათა დამორჩილებად მაღლმან არა თავს-იდვას.

ჟულისხმა-ყავ, ჭ მარიამ, რომელნი მამათ-მთავართა და წინაწარმეტყუელთა შესკილდეს; ისწავენ, რომელნი მოაქამომდე ანგელოზთაგანცა დაფარულ იყვნეს». ჟესმა ესევითარი, რომელსა ვერსადა კრებული იგი ღმრთის შემოსილთავ ღირს იქმნა. მოსე, დავით, ესაა და ყოველნი წინაწარმეტყუელნი წინავე ქადაგებდეს, არამედ ვითარ სახედ იყო, ვერ იცოდეს.

ჟენ ხოლო მხოლომან, ჭ წმიდაო, წმიდაო ქალწულო, რომლისა საიდუმლოსა ყოველნი უქცევარ არიან, შეიწყნარე და ისწავე, რამეთუ სადა სული წმიდავ, მუნ ყოველივე განმზადებულად წარმართებულ არს. «სული წმიდავ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისად გფარვიდეს შენ. ცმისთვის შობილსა მას წმიდავ ეწოდოს, ძე ღმრთის» (ლუკ. 1,35). ტკუეთუ ძე ღმრთის, ღმერთცა თანა-მსგავს ხატად მამისა და თანა-მფლობელ საუკუნეთა, რომელსა შინა აქეს მამასა ყოველივე გამოცხადებავ, ხატი პირსა შინა და ბრწყინვალებისაგან დიდებავ იგი განათლდების. Ծა ვითარცა დაუწყუედელისაგან წყაროდასა მდინარენი გამოვლენებდ, გვრცეა ამის დაუწყუედელისა და მარადის ცხოველისა წყაროდასაგან გამოვიდა ნათელი იგი გამოუთქმელი.

Ծა რამეთუ ამისთვის წინაწარმეტყუელნი ღალადებდეს და იტყოდეს: «სლგანი მდინარეთანი ახარებენ ქალაქსა ღმრთისასა» (ფს. 45,4); არა ხოლო თუ ერთსა ქალაქსა, არამედ ყოველთა, რა-

მეთუ ვითარცა ერთსა ქალაქსა ახარებს, გვრცე ყოველსა სოფელსა შემსგავსებულად.

ჭ-თვარანგელოზმან წმიდასა მარიამს უპირადში აუწეა ესრტი და პრეზა: «გიხაროდენ, მიმაღლებულო» (ლუკ. 1,28), რამეთუ შენ თანა ყოველი საფასტ მაღლისავ დაკრებულ იყო, რამეთუ ყოველთა შორის ნათესავთა ესე ხოლო მარტომ ქალწული წმიდად წორცითა და სულითა იპოვა. ცმან მარტომან იტკრთა, «რომელსა უტკრთვან ყოველი სიტყუთა» (ებრ. 1,3). Ծა არა ხოლო სიკეთში წმიდასა ამის საკურველ არს, არამედ სულისადცა სათხოო სახეშ.

ქომლისათვის ანგელოზმან მან პირველად ღალატ-ყო მისა მიმართ და პრეზა: «გიხაროდენ, მიმაღლებულო! უფალი შენ თანა!» და არა ქუევანისა სიძმი, არამედ იგი თავადი სიწმიდისა უფალი შენ თანა, სიწმიდისა იგი მამავ და უქრწნელებისა შემოქმედი და უკუდავებისა მომცემელი, აზნაურებისა იგი მოღუაწუ ჟეშმარიტი, მშედლობისა საუნჯისა მომცემელი, რომელმან ქალწულისაგან ქუევანისა დაპბადა კაცი იგი და გუერდისაგან მისისა ფად გამოიყვანა. ჟი თავადი უფალი შენ თანა და მერმე კუალად შენგან.

ტკუედით უკუე ჭ საყუარელნო, ანგელოზბრ-25 სა ქებასა თანა-შევერთნეთ და მსგავსად ძალისა თანა-ნადები იგი გონიერად შევწიროთ და ვიტყოდით: «გიხაროდენ, მიმაღლებულო! უფალი შენ თანა! რამეთუ შენი არს სიხარული ჟეშმარიტად, ამისთვის რამეთუ შენ თანა მაღლმან ღმრთები-30 სამან, ვითარცა უწევის, დაიმკუდრა, მტევლისა თანა მეუფებან, შეუნიერებისა თანა შეუნიერმან სიკეთითა უფრომს ძეთა კაცთასა (ფს. 44,2), შეუგინებელისა თანა — რომელი განსწედს ყოველთა ადგილთა. ჟენ თანა ღმერთი და შენგან ღმერთი, 35 რომელცა სრული კაცი, რომელსა შინა დამკბრძობულ არს ყოველივე საგსებად ღმრთებისამ.

ჟიხაროდენ, მიმაღლებულო, წყაროო ნათლისაო, რომელი განანათლებ ყოველთა მისა მიმართ მოწმუნეთა. ჟიხაროდენ, საცნაურისა 40 მის შზისა აღმოსავალო და ცხოვრებისა შეუგინებელო ყუავილო. ჟიხაროდენ, მარიამ მიმაღლებულო, ვენაჭო მარადის შეუნიერო, რომელი ახარებს სულთა, რომელნი შენ გადიდებენ, დაუთესველო, ნაყოფ-შეუნიერო ყანაო, გონებით 45 ჩუენდა მიმსგავსებისათვს და ჟამთა შობისა აღვებისათვს, ხოლო უფროვს ბუნებად ზეცით მოსრულისა მისთვის, რომელმან მუცელსა შენსა ადამი განახლა და რამეთუ მიდგომილებისა თესლი წმიდასა ქალწულისა სულმან წმიდამან მისცა,

რამეთუ ჰეშმარიტებად გუაძისა და გამოტდა გუამისაგან. Ծა ვითარცა-იგი მარგალიტი ორთაგან ბუნებათა: ელვისაგან და წყლისა — უჩინოთა ამათგან სასწაულთა ზღვსაგან — გამოვალს, ეგრეცა უფალი ჩუენი იესუ შეუშფოთებელად და უქცეველად უბიწოდესაგან და შეუგინებელისა ყოვლად წმიდისა ქალწულისაგან მარიამისა გამოვიდა ღმრთებითა სრული და კაცებითა სრული.

ქრაგალთა წმიდათა მამათაგანთა და მამათ-მთა-გართა და წინაწარმეტყუელთა გულმან უთქუა ხილვად პირსპირ და ვერ ღირს იქმნეს (მთ. 13,17). Ծა რომელთამე ჩუენებით სახედ იგავად იხილეს, რომელნიმე სუეტითა ღრუბლისავთა ღმრთებისა ქმასა ღირს იქმნეს სმენად, და რო-მელნიმე წმიდათა ანგელოზთა გამოცხადებასა ღირს იქმნეს. ჭარტოდესა ხოლო წმიდისა მარი-ამისა გაბრიელ მთავარანგელოზი ბრწყინვალედ მოვიდა და ახარა მას: «გიხაროდენ, მიმაღლებულო! და ესრუ სიტყუად იგი შეიწყნარა და უა-მსა მას ჭორციელებრ აღვსებისა მისისასა მრა-გალ-სასყიდლისა იგი მარგალიტი გამოიღო.

ქოვედით, უკუე აწ, საყუარელნო, და დავითის მიერსა მას ღმრთის სულსა საგალობელსა, რო-მელი ჩუენ ვისწავე, უგალობდეთ და ვიტყოდით: «აღდგე, უფალო, განსასუენებელად შენდა, შენ და კიდობანი სიწმიდისა შენისავ» (ფს. 131,8). რამეთუ ჰეშმარიტად კიდობანი არს წმიდავ ქალწული შინაგან და გარეშე განრჩენვილი ოქრომ-თა, რომელმან-იგი თავადი საფასც სიწმიდისა დაიტია. ცდდევ, უფალო, წიაღთაგან მამისათა, რამთა აღადგინო დაცემული ნათესავი — პირველ შექმნული ადამი.

ცმას დავით ვეედრებოდა, რომელი-იგი მისგან აღმოცხებად იყო კუერთხი და ნაყოფ-შუენიერი ფუავილი, რომლისათვის წინაწარმეტყუელებდა და იტყოდა: «ისმინე, ასულო, და იხილე, მოყავ ყური შენი, დავიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისავ. ზულმან უთქუა მეუფესა სიკეთო შენი, რამეთუ იგი თავადი არს უფალი ღმერთი შენი და შენ თაყუანის-სცე მას» (ფს. 44,10-11). წიმინე, ასულო, რომელი პირველითგან შენთვის წინაწარმეტყუელებით ითქუეს, რამთა აწ მეცნიერებისაცა თუალითა იხილნე საქმენი; ისმინე ჩემი, შენდა მიმართ მაუწყებელისამ, და მთავარანგელოზისამ, რომელი ჰეშმარიტთა საიდუმლოთა ქმად-მაღლად გითხრობ შენ.

ქოვედით უკუე აწ, საყუარელნო, და ჩუენცა

წარსწორებილთასა მას მოსაქსენებელსა მოვი-ისწრაფოთ და რომელი-იგი იტსტს ძირისაგან კუერთხი ესრუ დიდებულად აღმოსცტნდა, ვადიდებდეთ, უგალობდეთ და ვპნატრიდეთ და 5 ვაქებდეთ. ქამეთუ არა იოსებს, არამედ ღმრ-თის-მშობელსაცა ეწამების ლუკა სახარებასა შინა და მოსწავებს მისა მიმართ დავითისა მას ნათესაობასა და იტყეს, ვითარმედ: «აღმოვიდა იოსებ გალილეამთ ქალაქად პურიასტანისა, რომელსა პრეზან ბეთლემ, აღწერად მარიამის თანა, რომელი-იგი თხოვილ იყო მისა. Ծა იყო იგი მიდგომილ, რამეთუ იყვნეს იგინი სახლისაგან და ტომისა დავითისა» (ლუკ. 2,4-5).

«Ծა აღოვსნეს დღენი იგი შობისა მისისანი და 15 შვა ძმი იგი მისი პირმშო უპირადში კოველთა დაბადებულთამ, და შეხვა იგი სახუეველითა და მიაწვინა ბაგასა» (ლუკ. 2,6-7); შეხვა იგი, რო-მელმან კოველი დაბადებული შექმნა; შეხვა, რო-მელმან 〈შეიმოსა ნათელი ვითარცა სამოსელი〉 (ფს. 103,2). პიაწვინა ბაგასა ქერობინთა ზედა მჯდომარე და ბევრეულთა მიერ ანგელოზთა დიდებულ; პირუტყუთა ბაგასა სიტყუამან ღმრ-თისამან განისუენა, რამთა ნანდკლვე რომელნი ნებით თვისით პირუტყუ ქმნულ იყვნეს კაცნი, 20 პირმეტყუელთამ იგი მისცეს მეცნიერებამ; ტაბ-ლასა პირუტყუთასა დაევო ზეცისა იგი პური, რამთა პირუტყუთ-სახეთა კაცთა საიდუმლოვსა მის საზრდელისა და მისცეს მისაღებელი. Ծა არ-ცადა ადგილ იყო მათა საკანესა მას. ცდებილი არა 25 აქუნდა, რომელმან ცავ და ქუეყანად შეპმზადა და დაამყარა! ამისთვის რამეთუ მდიდარი იყო და 〈ჩუენთვის დაგლასაკანა〉 (2 კორ. 8,9) და სიმდა-ბლც დაუსრულებელი ინება ცხორებისათვეს ბუ-ნებისა ჩუენისა... ზეცას წიაღთა შინა მამისათა, და ქუაბსა შინა მკლავთა ზედა დედისათა განი-სუენა. ზაგასა ზედა ანგელოზთა კრებული გარე-მოადგს, ზეცას დიდებასა და ქუეყანასა ზედა შშკლობასა ახარებდეს. ზეცას მარჯუენით მამისა დაჯდა და ბაგასა შინა ვითარცა ქერობინთა ზედა განისუენებდა. საყდარი იყო ჰეშმარიტად ესეცა ქერობინებრი, საყდარი სამეუღლო, წმიდად წმი-დათამ ქუეყანასა ზედა მხოლოდ, რომელსა შინა განისუენა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან.

ქამეთუ მისა შუენის კოველი დიდებამ მამისა 45 თანა და სულისა წმიდისა უკუნითი უკუნისამდე. ცმენ.